



საქმე №1/ზ-165-16



გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

23 მარტი, 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე ნათია ბარბაქაძე
მოსამართლეები: მანუჩარ კაპანაძე
გერონტი კახეთელიძე

სხდომის მდივანი ავთანდილ ნასყიდაშვილი

სხდომის სახე - ღია;

ბრალდების მხარე:

პროკურორი - ნანა ჯაყელი;

დაცვის მხარე:

გამართლებული - **ზ. გ.ს ძე ყ.**, დაბადებული 1997 წლის **XX** დეკემბერს, საქართველოს მოქალაქე, პირადი №**XXXXXXXXXXXX**, ნასამართლობის არმქონე (2014 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით), რეგისტრირებული: **გ.-ს** რაიონი, სოფელი **ა.**; მცხოვრები: **ქ. თ., კ.-ს ხ. NX**;

ადვოკატი - **მ. ჯ.**;

კვალიფიკაცია:



საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით);

სასჯელი:

ზ. ყ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

მხარეთა პოზიციები:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის ნანა ჯაყელის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და **ზ. ყ.-ს** დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის შემდეგ გარემოებათა გამო: არ არის მართებული სასამართლოს მითითება, რომ სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული გარემოება, რადგან ზარალის ოდენობა - 3 ლარი - გამოწვეული იყო იმით, რომ **ზ. ყ.-მ** ვერ შეძლო ჩასარიცხი აპარატიდან უფრო მეტი თანხის ფარულად დაუფლება. იგი ფაქტობრივად წასწრებული იქნა დანაშაულის ჩადენისთანავე, რა დროსაც კვლავ ცდილობდა მექანიკური ზემოქმედების მოხდენას ჩასარიცხ აპარატზე. სასამართლომ არ გაითვალისწინა დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ **ზ. ყ.-მ** განზრახი დანაშაული ჩაიდინა საჯარო ადგილზე, გაქურდა აპარატი, რომლითაც მოქალაქეები რიცხავენ თანხებს კომუნალური გადასახადებისათვის და სხვა საჭიროებებისათვის. დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა სპეციალური საშუალება - რკინის ჩხირი და ქაღალდის ნაჭერი, რომლის გამოყენებითაც მოახერხა მექანიკური ზემოქმედება ჩასარიცხ აპარატზე და თანხის უკანონოდ მოპოვება (იხ. სააპელაციო საჩივარი, სხდომის ოქმი).

დაცვის მხარის პოზიცია - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება, ვინაიდან ქმედების ჩადენის დროს **ზ. ყ.** იყო არასრულწლოვანი, ხასიათდება დადებითად, არის



მოტივირებული ახალგაზრდა და აღარ ჩაიდენს დანაშაულს (იხ. სააპელაციო საჩივარი, სხდომის ოქმი).

სასამართლომ დაადგინა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 დეკემბრის განაჩენით, **ზ. ყ.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

ბრალდების თანახმად, 2014 წლის 14 ოქტომბერს, ქ. **თ.-ში**, **წ.-ს** გამზირზე, **NXX-ის** მიმდებარედ, არასრულწლოვანი **ზ. ყ.** მეტალის საგნის გამოყენებით, შპს „**დ. ჯ.-ს**“ კუთვნილი ტერმინალიდან - სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ფულად თანხას 3 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 დეკემბრის განაჩენით სასამართლომ აღნიშნა, რომ ქმედება, რომლის განხორციელებაც ბრალად ედება არასრულწლოვან ბრალდებულს, ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. ამასთან, მხოლოდ ფორმალური შესატყვისობა არ არის საკმარისი, თუ ის არ იწვევს ზოგადად დანაშაულისათვის დამახასიათებელ ზიანს. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **ზ. ყ.-ს** ქმედებას არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა არასრულწლოვნის პასუხისმგებლობას.

პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებები (მოწმეების: **გ. ბ.-ს**, **ე. მ.-ს**, **კ. დ.-ს** და **მ. ქ.-ს** ჩვენებები, **ზ. ყ.-ს** აღიარებითი ჩვენება, ამოღების ოქმი, წარმოდგენილი მტკიცებულებები - ერთი ცალი ერთ ლარიანი და ერთი ცალი ორ ლარიანი მონეტა, რკინის ჩხირი და სხვა მტკიცებულებები) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ გამხდარა სადავო და მიღებული იქნა გამოკვლევის გარეშე.

პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს გამამართლებელი განაჩენი **ზ. ყ.-ს** მიმართ.

სამართლებრივი შეფასება



კანონმდებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით კრიმინალიზებულია სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

პალატა განმარტავს, რომ მისაკუთრების, როგორც თავისთავად ტერმინის არსი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულში, როგორც არის ქურდობა, გამოიხატება სუბიექტის მისწრაფებაში ფლობდეს და განკარგავდეს სხვის საკუთრებას, როგორც თავისას.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ გამხდარა ფაქტი, რომ ზ. ყ. 2014 წლის 14 ოქტომბერს, ქ.თ.-ში, წ.-ს გამზირზე NXX-ის მიმდებარედ, მეტალის საგნის გამოყენებით, შპს „დ. ჯ.-ს“ კუთვნილი ტერმინალიდან - სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ფულად თანხას 3 ლარის ოდენობით.

პალატა ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და გათვალისწინებული იქნეს მთელი რიგი გარემოებები, მათ შორის დაზარალებულისათვის ზიანის მნიშვნელობა და საჯარო ინტერესი. პალატა არც იმ ფაქტს უარყოფს, რომ ზიანი არის 3 ლარი. თუმცა, პალატა არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ შეფასებას, რომლის თანახმად, სასამართლომ არასწორად მიიჩნია სახელმწიფო რესურსების ხარჯვა, რომელიც მოცემული ქმედების განხორციელებას მოჰყვა იმ მოტივით, რომ ეს რესურსი ძალიან ადვილად იმ ზიანს, რაც შპს „დ. ჯ.-მ“ განიცადა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

პალატა უპირველესად განმარტავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ტერმინის - “ზიანის” მნიშვნელობას და მასში მოიაზრებს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ზიანს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მითითებულ დანაშაულთა ნაწილი სწორედ მატერიალურ ზიანს უკავშირდება, თუმცა არის დანაშაულთა წრე, სადაც ამგვარი ზიანი არამატერიალურად გამოიხატება. ამდენად, სადავო ნორმაში აღნიშნული ტერმინის - “ზიანის” მხოლოდ მატერიალური განმარტება უსაფუძვლოდ შეზღუდავდა ამ ნორმით სარგებლობის საშუალებას და, რაც მთავარია, ბრალდებულთა საუარესოდ. თუმცა, ქმედებით გამოწვეული მცირე მნიშვნელობის შეფასება მარტოდენ ზემოაღნიშნული



ორი კრიტერიუმით არ უნდა შეიზღუდოს, რადგან სადავო საკითხის შეფასების სამართლებრივი განსაზღვრულობის ფარგლები ბევრად უფრო მეტია.

ზიანის მიხედვით ქმედების კრიმინალიზება მიბმულია ქმედების ხასიათზე, და სწორედ აქედან გამომდინარე ზიანის ოდენობით მისი კრიმინალიზაციის ლიმიტირებაზე, ზოგადად კი დევიაციური ქმედების საშიშროების ხარისხზე, რისი უგულებელყოფაც საკითხის ზედაპირულ შეფასებამდე მიგვიყვანდა და კანონმდებლის ნამდვილ ნებას დათრგუნავდა არაპროპორციული მიდგომის დანერგვით.

ბუნებრივია, შესაძლებელია, უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი 1 თეთრს არ აჭარბებდეს, თუმცა იგი მაინც არ ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის ზიანად. ამ თვალსაზრისით ყურადღება სწორედ ქმედების ხასიათსა და მასში გამოხატულ მართლსაწინააღმდეგო ნებას უნდა მიექცეს და არა მხოლოდ ზიანის მათემატიკურ გამოსახულებას.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს:

1. სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მოხდა ქ. თ.-ში, წ.-ს გამზირის NXX-ის მიმდებარედ.
2. დასაუფლებელ ობიექტს წარმოადგენდა აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული სწრაფი ჩარიცხვის აპარატში ჩარიცხული მონეტები.
3. დანაშაულის ჩადენის ხერხი გამოიხატა რკინის მონეტების ჩასარიცხ ჭრილში ქაღალდის ჩაჭედვით და რკინის წვრილი ჩხირის მეშვეობით, ჭრილიდან მონეტების გამოღებით.

პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ 3 (სამი) ლარის ზიანზე აპელირებით, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან, ვინაიდან, თავად ქმედება, მასში გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნების, ქმედების ხასიათის, ხერხის გათვალისწინებით არ წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის მქონეს.

ამასთან, მართალია, დაუფლებული თანხის ოდენობა შეადგენდა 3 ლარს, თუმცა სუბიექტურად, ზ. ყ.-ს განზრახვა არ იყო მიმართული სწორედ აღნიშნული თანხის – 3 ლარის დაუფლებისკენ. ზ. ყ.-მ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა თუ რა თანხის ჩარიცხვას მოახდენდნენ მოქალაქეები აპარატით, მას ამოძრავებდა სხვისი ნივთის და არა კონკრეტულად 3 ლარის ფარულად დაუფლების განზრახვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის გამოსაყენებლად განზრახი დანაშაულის დროს უნდა დადგინდეს, რომ დამნაშავე პირის (სუბიექტის) განზრახვა მიმართული იყო ისეთი მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედების ჩადენაზე, რომელიც უმნიშვნელო ზიანს აყენებს (ან ქმნის ასეთი ზიანის საფრთხეს) სამართლით დაცულ სიკეთეს. პალატა ყურადღებას მიაქცევს ზ. ყ.-ს დაკითხვის ოქმზე, რომელიც სხვა



მტკიცებულებების მსგავსად, მხარეთა მიერ უდავოდ არის მიჩნეული, კერძოდ, ბრალდებულმა დაკითხვისას განაცხადა, რომ აპარატთან ახლოს გაჩერდა მოპედი და ახალგაზრდა მამაკაცი მისკენ წამოვიდა. შეშინდა, რის გამოც ქალალდი ისევ ჭრილში გაუკეთა და ჩაჭედა რკინის ჩხირით, რომ იქ არსებული სხვა რკინის მონეტები არ ჩამოვარდნილიყო და ახალგაზრდა მამაკაცი არ მიმხვდარიყო თუ რას აკეთებდა...

მისივე ჩვენებით, მას არ ჰქონდა ფული და გადაწყვიტა ამგვარი გზით მოეძიებინა, ხოლო აღნიშნული ხერხით თანხის დაუფლების თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა რამდენიმე თვით ადრე. პალატა ყურადღებას ამახვილებს გამოყენებულ საშუალებებზე - ქალალდზე და რკინის წვრილ ჩხირზე, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მონეტების ჩასარიცხ ჭრილში ქალალდის ჩაჭედვის შემდეგ **ზ. ყ.** რამდენიმე წუთით მოშორდა იმ ადგილს, რომ მოქალაქეებს მოეხდინათ თანხის ჩარიცხვა და მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ დაბრუნდა თანხის დასაუფლებლად. ანუ, მან წინასწარ შექმნა თანხის დაუფლებისთვის შესაბამისი პირობები და მის მიერ განხორციელებული ქმედება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს უმნიშვნელოდ, ან მცირე მნიშვნელობის მქონედ, მიუხედავად დამდგარი შედეგისა და ზიანის სახით არსებული 3 ლარისა.

პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ მატერიალურ ზიანზე და სწორედ ამ მიზნის მიღწევიდან გამომდინარე ქმედების მცირე მნიშვნელოვნად შეფასებაზე მსჯელობას არასრულფასოვან შედეგამდე მივყავართ, რადგან ამ მოცემულობით 1 ლარიანი პროდუქციის მიღების მიზნით ბინაში უკანონო შეღწევა ან სხვა ქმედებები ზიანის მცირე მნიშვნელოვნად შეფასების ავტომატური წინაპირობა იქნებოდა და უპირობოდ გამორიცხავდა ქმედების სსკ-ის 177-ე მუხლით დაკვალიფიცირებას (ფარულობის შემთხვევაში).

ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პრევენციისათვის, როგორც **ზ.-სთვის**, ისე მისი თანატოლებისთვის, ღირსეული მომავლის ჩამოყალიბების კუთხით ცნობილი უნდა იყოს, რომ ასეთი ქმედება, სპეციალური საგნით, წინასწარ მოფიქრებული განზრახვით, გაუმართლებელია თამაშის უფლებით და არ წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის მქონეს, ხოლო ის გარემოება, რომ დანაშაული **ზ. ყ.-მ** ჩაიდინა არასრულწლოვანების პერიოდში, ასახული უნდა იქნეს მისთვის დანიშნულ სასჯელში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის კონკრეტულ ქმედებასთან შესაბამისობის დადგენისას ითვალისწინებს დანაშაულის განხორციელების ყველა კომპონენტს ერთობლიობაში და მიაჩნია, რომ **ზ. ყ.-ს** მიერ განხორციელებული ქმედება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მცირე მნიშვნელოვნად, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენი **ზ. ყ.-ს** მიმართ და მის ნაცვლად დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი.



სასჯელის დასაბუთება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის სხდომა გაიმართა 2016 წლის 23 მარტს.

პალატა განმარტავს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში, ხოლო მე-40 მუხლის მიხედვით, მკაცრი სადამსჯელო მიდგომა არ შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს და ბავშვის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მისი კეთილდღეობის, ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის და რეინტეგრაციის საჭიროებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პოზიტიური ზომების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ყველა შესაძლო რესურსის მობილიზებას, რათა ხელი შეუწყონ მოზარდის კეთილდღეობას კანონის მხრივ ჩარევის აუცილებლობის შესამცირებლად და ეფექტურად, სამართლიანად და ჰუმანურად მოეპყრონ მოზარდს, რომელიც კანონთან კონფლიქტშია... მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ, პირველ ყოვლისა, მიმართულია არასრულწლოვნის კეთილდღეობისა და იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებზე ზემოქმედების ყოველგვარი ღონისძიება ყოველთვის შეესატყვისებოდეს როგორც პიროვნების თავისებურებებს, ისე სამართალდარღვევის გარემოებებს.

2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ამასთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო



კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, პატიმრობის კოდექსისა და ამ კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება.

ამასთან, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, ან თავისუფლების შეზღუდვას ერთიდან სამ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთას ამავე ვადით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად კი არასრულწლოვნის სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა; ბ) შინაპატიმრობა; გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ე) თავისუფლების შეზღუდვა; ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის დანიშვნის დროს პალატამ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს **ზ. ყ.** იყო არასრულწლოვანი - 16 წლის, ცხოვრობდა და ცხოვრობს დედასთან ერთად, ნაქირავებ ბინაში. ამასთან, დედა მუშაობს სხვა ქალაქში და მათ ყოველდღიური ურთიერთობა არ გააჩნიათ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **ზ.** მოტივირებული ახალგაზრდაა, გასათვალისწინებელია ასევე მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მას სურს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სწავლა გააგრძელა სკოლაში, ემზადება ინგლისურში.

აღნიშნული გარემოებები იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიყენოს სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი ფორმა და განსაზღვრული სანქციის მინიმუმი შემდეგ გარემოებებზე მითითებით: 2014 წლის 14 ოქტომბერს, როდესაც **ზ. ყ.-ს** მიერ ჩადენილი იქნა ზემოაღნიშნული განზრახი ქმედება, მსჯავრდებული იყო ნასამართლობის არმქონე, რის გამოც მის მიმართ სასჯელის სახით ვერ იქნება გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, დაუშვებელია მის მიმართ ჯარიმის გამოყენებაც, ვინაიდან დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნია და მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მსჯავრდების პერიოდში სრულწლოვანია, მისთვის შეფარდებული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, რადგან სასამართლო სასჯელს უნიშნავს არა სრულწლოვანს, არამედ არასრულწლოვანების პერიოდში ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს.



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, **ზ. ყ.-ს** მიმართ 6 (ექვსი) თვით შინაპატიმრობის გამოყენება ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ **ზ. ყ.** 2014 წლის 14 ოქტომბერს ჩადენილი დანაშაულის შემდეგ გასამართლებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 აპრილის განაჩენით.

განაჩენის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად, **ზ. ყ.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (**გ.გ.-ს** ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (ოთხი) წელი ჩაეთვალა პირობით. ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (**მ.მ.-ს** ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (ოთხი) წელი ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, **ზ. ყ.-ს** განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (ოთხი) წელი ჩაეთვალა პირობით ამავე გამოსაცდელი ვადით.

2015 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის **NXX/XX/XX** განკარგულებით, **ზ. ყ.** შეწყალებული იქნა და 2015 წლის 20 აპრილის განაჩენით, საქართველოს სისხლის



სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი გაუნახვერდა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2015 წლის 30 დეკემბრის NXX/XX/X-XXX გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული ზ. ყ. გათავისუფლდა პირობით ვადამდე - 6 (ექვსი) თვითა და 6 (ექვსი) დღით ადრე.

მსჯავრდებული ზ. ყ. პატიმრობიდან გათავისუფლდა 2015 წლის 31 დეკემბერს.

პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით დაინიშნება სასჯელი, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს.

მოცემულ შემთხვევაში, ზ. ყ.-სათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელი ბევრად აღემატება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მარტის განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 6 (ექვსი) თვის ვადით შინაპატიმრობას, ამასთან, საგულისხმოა, რომ 2015 წლის 20 აპრილის მდგომარეობით ზ. ყ. არ იყო დამნაშავედ ცნობილი 2014 წლის ოქტომბერში ჩადენილი ქმედებისათვის, რაც წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ნორმის გამოყენების საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, ზ. ყ.-ს მოსახდელად განესაზღვროს ის სასჯელი, რაც დაენიშნა 2015 წლის 20 აპრილის განაჩენით. ამასთან ცნობად იქნეს მიღებული, რომ ზ. ყ. პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული სასჯელისგან გათავისუფლდა 2015 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2015 წლის 30 დეკემბრის NXX/XX/X-XXX გადაწყვეტილების საფუძველზე, პირობით ვადამდე 6 (ექვსი) თვითა და 6 (ექვსი) დღით ადრე და მის ყოფაქცევაზე კონტროლს ახორციელებს პრობაციის სამსახური.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი



პალატამ იხელმძღვანელა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 59-ე, 69-ე, 75-ე მუხლებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე, 272-ე, 273-ე, 274-ე, 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით,-

და ა ა დ გ ი ნ ა:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის ნანა ჯაყელის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენი **ზ. ყ.-ს** მიმართ და მის ნაცვლად დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი.

ზ. ყ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ზ. ყ.-ს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს შინაპატიმრობა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 და მე-2 ნაწილების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 აპრილის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, **ზ. ყ.-ს**, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (ოთხი) წელი ჩათვალა პირობით ამავე გამოსაცდელი ვადით.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ **ზ. ყ.** პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული სასჯელისგან გათავისუფლებულია 2015 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2015 წლის 30 დეკემბრის NXX/XX/X-XXX



გადაწყვეტილების საფუძველზე, პირობით ვადამდე 6 (ექვსი) თვითა და 6 (ექვსი) დღით ადრე და მის ყოფაქცევაზე კონტროლს ახორციელებს პრობაციის სამსახური.

ნივთიერი მტკიცებულება - შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გადაღებული სურათები, ჩაწერილი დისკზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

ერთი ცალი ერთ ლარიანი და ერთი ცალი ორ ლარიანი მონეტა, დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს, ხოლო რკინის ჩხირი განადგურდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და მიექცევა აღსასრულებლად გამოცხადებისთანავე;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე

ნათია ბარბაქაძე

მოსამართლეები:

მანუჩარ კაპანაძე

გერონტი კახეთელიძე